საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 3 23 02056983

17/07/2023

ელექტრონული ფოსტის მისამართი:
foi+request-2802-2f948efd@askgov.ge

ქალბატონო მერი,

2023 წლის №2017249 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში სტატისტიკური მონაცემების დამუშავება წარმოებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების/ნაწილების/ქვეპუნქტების მიხედვით, რომელიც არ ითვალისწინებს მაკვალიფიცირებელ გარემოებად (სქესის ნიშნით) მხოლოდ ქალის მიმართ ჩადენილ დანაშაულს. შესაბამისად, მონაცემების დამუშავება კონკრეტულად ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით არ ხორციელდება.

ამასთან, დამატებით გაცნობებთ, რომ „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილების თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) აღრიცხვიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში დამუშავებული სტატისტიკური ინფორმაცია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ განთავსებულია სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე - info.police.ge (https://info.police.ge/page?id=102), სადაც პერიოდულად ქვეყნდება შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები.

პატივისცემით,

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: (+995 32) 2411008 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge

ქეთევან ტყეშელაშვილი
ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი